დანართი 2

დამტკიცებულია:	**შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N02-2020 დადგენილება**	**16.01.2020**
შეტანილია ცვლილება:*		

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია

მუხლი 1. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიზანი

1. **სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიზანია** (შემდგომში - სამაგისტრო ნაშრომი) სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია. მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დასრულებულ სამუშაოს, რომელშიც აისახება კურსდამთავრებულის სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოების ინოვაციურ დონეზე დამოუკიდებლად ჩატარების უნარი;

2. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მის მიერ მიღებული შედეგების არგუმენტირებული გადმოცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ;
2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თჰუ-ს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორი და სხვ.) ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, რაც აისახება შესაბამის ოქმში;
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესს, კვლევისა და ნაშრომის დასაცავად წარდგენის პროცესში გაუწიოს სტუდენტებს სათანადო კონსულტაციები საკონტაქტო საათების ფარგლებში. კერძოდ კი: ა) გამართოს რეგულარული პირისპირ და/ან ონლაინ შეხვედრები, ბ) გაუწიოს კონსულტაცია კვლევის გეგმის შემუშავების პროცესში (მაგ.: საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, ჰიპოთეზის განსაზღვრა, კვლევის დიზაინის შემუშავება, კვლევის მეთოდების განსაზღვრა და ა.შ.), გ) მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია ნაშრომის მომზადების ზოგადი წესების შესახებ, დ) დაეხმაროს სტუდენტს ნაშრომის მუშაობის დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში და სხვ.;

4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 7 აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტს;
5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი გასცემს დასკვნას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა

1. **სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის** თემატიკის ჩამონათვალს ადგენს შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;
2. სტუდენტისთვის თემის დამტკიცება ხდება დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება

1. სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება მომზადდეს სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული APA-ს სტილის (ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია), ჩიკაგოს ან MLA გამოყენებით;
2. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან:
   ა) **სატიტულო ფურცელი** - წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით; ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლებლის სრული დასახელება, სადაც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი; შემდეგ უნდა დაიწეროს მაგისტრანტის სახელი და გვარი სრულად სახელობით ბრუნვაში;
   შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის დასახელება 16-იანი ზომის შრიფტით; სათაურის შემდეგ იწერება საკვალიფიკაციო ჩარჩოს ქვესპეციალიზაციის დასახელება, მაგისტრის საძიებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი ნაშრომი დასაცავად. თავფურცელის მარჯვენა მხარეს მიეთითება მეცნიერ-ხელმძღვანელის ინიციალები და გვარი, აკადემიური თანამდებობა/ სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი; ქვემოთ იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი და მისი წარდგენის წელი;
   ბ) **ანოტაცია** - უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს და თემის დასახელებას. მასში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე. ანოტაციის ძირითადი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას და უნდა იყოს წარმოდგენილი **ქართულ და ინგლისურ ენებზე;**
   გ) **სარჩევი** - მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან;
   დ) **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანის (ამოცანების) შინაარსი, საკვლევი საგანი, კვლევის ობიექტი, გამოყენებული მეთოდები, მატერიალურ-ტექნიკური თუ საინფორმაციო რესურსები;
   ე) **ტექსტის ძირითადი ნაწილი** - შეიძლება დაიყოს თავებად (პარაგრაფებად). მასში უნდა ჩანდეს გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის პროცესის ეტაპები და შედეგები;
   ვ) **დასკვნა** - წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელმაც უნდა უპასუხოს ყველა იმ ამოცანას, რომელიც მაგისტრანტს გამოაქვს საჯარო დაცვაზე, შესაძლებელია

მოიცავდეს რეკომენდაციებსაც;

ზ) **გამოყენებული ლიტერატურა** - 1) ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იქნას ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე; 2) სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები; 3) წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ქალაქი, გამომცემლობა, წელი, გვერდების საერთო რაოდენობა; 4) ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – ცხრილები, დიაგრამები, სურათები, სქემები - უნდა გადაინომროს. მაგალითად, ნაშრომის თავის ნომერი და ცხრილის ნომერი - 1.1, 1.2 და ა.შ. საილუსტრაციო მასალამ შეიძლება მოიცვას ნაშრომის ტექსტის არა უმეტეს 1/3-ისა. საილუსტრაციო მასალის დარჩენილი ნაწილი უნდა განთავსდეს დანართებში; 5) სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში კონკრეტული ნაშრომის განხილვისას და ავტორისეული მოსაზრების დაფიქსირებისას მრგვალ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს მისი ინიციალი, გვარი და ნაშრომის გამოქვეყნების წელი; მაგ: (ი. ჭავჭავაძე; 1955); 6) ტექსტში გამოყენებული ციტატების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის ინიციალი, გვარი, წელი და გვერდი. მაგ: [ი. ჭავჭავაძე, 1955: 10]; ტექსტში ჩართული ციტატა უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით (იტალიკით); 7) ინტერნეტში განთავსებული წყაროები, რომლებიც ნაბეჭდი წყაროსგან მხოლოდ გამოქვეყნების ფორმით განსხვავდება, მიეთითება შესაბამისი ნაბეჭდი წყაროს მსგავსად: ავტორის სახელი, სახელწოდება, თარიღი და ა.შ. ამ მონაცემების შემდეგ მიეთითება URL მისამართი და ბოლო წვდომის თარიღი; იმ შემთხვევაში თუ ავტორი არ არის დასახელებული, უთითებთ ვებგვერდის მფლობელი ინსტიტუციის სახელს, „გვერდის სათაურს," ვებგვერდის სახელწოდებას, URL მისამართსა და ბოლო წვდომის თარიღს. 8) ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოსაც; 9) შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით, რომელიც წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით. შენიშვნების/სქოლიოების შრიფტის ზომა: 10;

თ) **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში) დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.

3. **სამაგისტრო ნაშრომის** ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. ინომრება ყველა გვერდი, გარდა თავფურცელისა;
4. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე Sylfaen-ით; შრიფტის ზომა - 12-14; სტრიქონებს შორის მანძილი 1,5 ინტერვალი; ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა-1 სმ, ზემოთ- 2,5 სმ, ქვემოთ - 2,5 სმ;
5. **სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა** უნდა იყოს არანაკლებ 50 და არაუმეტეს 80 გვერდისა.

მუხლი 5. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის დეტექცია

1. თჰუ-ს სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან უნივერსიტეტის მიერ აღიარებული აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, რომლებიც გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის,

აღმოჩენისა და რეაგირების წესში;

2. სტუდენტი ვალდებულია ნაშრომი პლაგიატის დეტექციისათვის წარმოადგინოს მომზადებული საბაკალავრო არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირისა.
3. ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში მასალის ტექნიკურ ატვირთვას და გადამოწმებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
4. ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით მიღებული შედეგები, ნაშრომის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება სტუდენტს და ფაკულტეტს (მათ შორის ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს).
5. ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი განიხილავს პლაგიატის დეტექტირების შედეგებს და წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას ნაშრომის დაცვისათვის დაშვება/არ დაშვების შესახებ.
6. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს ეგზავნებს ნაშრომი და შესაბამისი შედეგები და ეძლევა გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა) მის გამოსასწორებლად.
7. სტუდენტს აქვს უფლება მხოლოდ ერთხელ გაასწოროს ნაშრომი პლაგიატის დეტექტირების შედეგებზე დაყრდნობით. ხელმეორედ პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარმოადგინოს შემდეგ სემესტრში.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება

1. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტებს განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი გამოყოფს ორ რეცენზენტს, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტი სხვა ორგანიზაციიდან, ხოლო მეორე - დასაშვებია იყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადგილობრივი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/ან და მოწვეული პერსონალი;

2. რეცენზენტმა ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით: ნაშრომის სტრუქტურა; ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიხალე ან ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება, საკითხის დასმა; კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები; კვლევის მეთოდოლოგია. რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს: ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება, ნაშრომის ტექნიკური მონაცემები ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება, დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები, ციტირების ფორმატი, ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება, პრობლემის დასმა, ლიტერატურის შეფასება ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება, დასკვების ლოგიკურობა, საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ და სხვ.;
3. რეცენზენტი წერილობითი სახით წარუდგენს კომისიას **სამაგისტრო ნაშრომის** შესახებ რეცენზიას. რეცენზენტი ვალდებულია მაგისტრანტსა და მის ხელმძღვანელს გააცნოს თავისი რეცენზია **სამაგისტრო ნაშრომის** დაცვამდე სამი დღით ადრე მაინც. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ათი დღით ადრე მაინც) აცნობოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გამოყოფს დამატებით რეცენზენტს. ასეთ შემთხვევაში დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს სამივე რეცენზენტი;
4. რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილ **მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის** (შემდგომში - კომისია) **სხდომაზე,** რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი (არა ნაკლებ 5 და არა უმეტეს 7 წევრი). დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც;
2. კომისიის თავმჯდომარეა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისის ფაკულტეტის დეკანი, სადაც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა;
3. კომისიასთან მაგისტრანტის **სამაგისტრო ნაშრომის** წარდგენა ხდება **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე**;
4. დაცვა არის საჯარო. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება სულ მცირე 15 წუთით;
5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე უნდა შედგეს **საბოლოო ოქმი.** კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა;

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დასკვნითი შეფასება გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას/პრეზენტაციას კომისიის წინაშე, რასაც მოჰყვება დისკუსია. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება კომისიის დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე;
2. სამაგისტრო ნაშრომის ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს ფაკულტეტი.
   შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
   (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
   (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
   (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
   (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
   (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
3. **(FX) ვერ ჩააბარა-ს** მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო უარყოფითი შეფასების- **(F) ჩაიჭრა -ს** მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის წარდგენის უფლებას;
4. ნაშრომის დაცვის შედეგი ფიქსირდება დაცვის ოქმში/უწყისში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;
5. სამაგისტრო ნაშრომი თანდართული ხელმძღვანელის დასკვნით და რეცენზიით, ინახება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან/ შესაბამის ფაკულტეტზე;
6. სამაგისტრო პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით შესრულებისა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (51-100 ქულა) კურსდამთავრებულს ენიჭება **მაგისტრის აკადემიური ხარისხი** და გაიცემა სათანადო დიპლომი;

7. დიპლომის დანართში სამაგისტრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული შემაჯამებელი სავალდებულო კომპონენტი.

დანართი 2-1

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი

თემის დასახელება

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გვარი,სახელი

სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა

თბილისი

20--

TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების/არდაშვების თაობაზე

ფაკულტეტი _____

სამაგისტრო პროგრამა _____

სტუდენტი _____

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი

თემაზე

_____

_____

ხელმძღვანელის დასკვნა და კომენტარები

ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

თარიღი _____

დეკანი _____

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის რეცენზენტის დასკვნა ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების/არდაშვების თაობაზე

ფაკულტეტი _____

სამაგისტრო პროგრამა _____

სტუდენტი _____

სამაგისტრო პროექტრი/ნაშრომი

თემაზე

_____

_____

რეცენზენტის დასკვნა და კომენტარები

რეცენზენტის ხელმოწერა

_____

თარიღი _____ *ფაკულტეტის დეკანი* _____

დანართი 2-4

TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დასკვნითი შეფასების უწყისი - საჯარო დაცვა/პრეზენტაცია

ფაკულტეტი _____

სამაგისტრო პროგრამა _____

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები

_____

_____

_____

_____

№	სტუდენტის სახელი გვარი	სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები					შეფასება
		თემის აქტუალობის დასაბუთება, მასალის მოძიება, ბიბლიოგრაფიული წყაროების შერჩევა და შესწავლა, კვლევის გეგმის შედგენა, ჰიპოთეზის ფორმულირება (მაქსიმუმ 20 ქულა)	სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან, გამოყენებული ლიტერატურის ანალიზი, ძირითადი თეზისების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგია, ფაქტობრივი მასალის ფლობა, კვლევის ანალიზის უნარი და სამეცნიერო სიახლე (მაქსიმუმ 30 ქულა)	გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია, ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა (მაქსიმუმ 30 ქულა)	პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება (მაქსიმუმ 10 ქულა)	პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება) პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან (მაქიმუმ 5 ქულა 10)	
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							

9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							
19							
20							

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის წევრები და ხელმოწერა

1._____

2._____

3._____

4._____

5._____

კომისიის მდივანი _____

თარიღი: _____